საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №64/04
2018 წლის 12 აპრილი

ქ. თბილისი

„საწარმოთა ობლიგაციების ემისიის, საჯარო შეთავაზების და განთავსების ანგარიშების შესახებ" წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 5 აგვისტოს №79/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52-ე მუხლის „ა" და „ზ" ქვეპუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1. „საწარმოთა ობლიგაციების ემისიის, საჯარო შეთავაზებისა და განთავსების ანგარიშების შესახებ" წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 5 აგვისტოს №79/04 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09/08/2016, სარეგისტრაციო კოდი: 190040000.18.011.016200) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლს „ე" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე^1" ქვეპუნქტი:

„ე^1) უზრუნველყოფის აგენტი – იურიდიული პირი, რომელიც ემისიის პროსპექტის და ემიტენტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოქმედებს ობლიგაციონერების ინტერესებიდან გამომდინარე უზრუნველყოფის საგნის მართვისა და შესაძლო რეალიზაციის საკითხებში;".

2. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 და 2^2 პუნქტები:

„2^1. იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაციების ემისიის სქემაში მონაწილეობს უზრუნველყოფის აგენტი, ემისიის საბოლოო პროსპექტი უნდა შეიცავდეს:

ა) ინფორმაციას უზრუნველყოფის აგენტის შესახებ, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, ინფორმაციით მმართველ ორგანოში შემავალი და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი პირების შესახებ, ასევე, სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციით;

ბ) ინფორმაციას უზრუნველყოფის აგენტის ფუნქციებისა და უფლებამოსილებების შესახებ;

გ) ინფორმაციას ემიტენტსა და უზრუნველყოფის აგენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ და საჯარო რეესტრის და/ან სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემულ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს უზრუნველყოფის აგენტის სასარგებლოდ ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი უფლებამოსილების რეგისტრაციის ფაქტს;

დ) ინფორმაციას უზრუნველყოფის აგენტის ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო რისკის თაობაზე.

2^2. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 და 2^1 პუნქტებში მითითებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის გარდა, მოითხოვოს სხვა დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.".

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **კობა გვენეტაძე**